ბილეთი ორიენტირი

პროფესიულ

სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა

- 2026 -

შინაარსი

შესავალი

1. კვლევის მეთოდოლოგია
2. კვლევის მიზანი
3. კვლევის ამოცანები
4. შედეგის ანალიზი
5. დასკვნები და რეკომენდაციები
6. დანართი N 1 (კითხვარი)
7. დანართი N 2 (კვლევის შედეგები)

შესავალი

პროფესიული სასწავლო დაწესებულება შპს კოლეჯი „ორიენტირი“ რეგულარულად ატარებს, სასწავლო პროცესში ჩართულ მხარეების გამოკითხვას- კვლევებს, ახდენს მათ საჭიროებების იდენტიფიცირებას და შემდგომში შესაბამისი ღონისძიებებს გატარებას.

წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემულია, სწორედ კოლეჯის პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა, რომელიც ჩატარდა 2026 წლის მაის-ივნისის თვეში.

1. კვლევის მეთოლოგია

კოლექცია ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით, რომელიც ეფუძნება სოციოლოგიური კოლექციის მეთოდს და საფუძვლად უდევს კვლევის ინსტრუმენტების(კითხვარების) წინასწარი შემუშავება.

კოლეჯში კვლევა ჩატარდა გამოკითხვის, წინასწარ შემუშავებული კითხვარის გამოყენებით, რომელიც განთავსებული იყო Google Doc-ზე, კითხვარი დაეგზავნა კოლეჯის სტუდენტებს დახურულ ჯგუფში და მიეცათ შესაფასებლად სამი კვირის ვადა.

2. კოლეჯის მიზანი

კოლეჯის ძირითად მიზანს წარმოადგენდა კოლეჯის პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების შესწავლა. სტუდენტებიდან უკუკავშირის მიღება. კერძოდ, იმის შეფასება თუ როგორ აფასებენ სასწავლო პროცესს, კოლეჯის ინფრასტრუქტურას, მატერიალურ რესურსებს, საბიბლიოთეკო რესურსებს, ადმინისტრაციული მხარდაჭერას, დამატებით /არაფორმალური აქტივობების წახალისებას, აქტივობების მხარდაჭერას და სხვ.

3. კვლევის ამოცანები

კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა კვლევის შემდეგი ამოცანები:

- პროფესიულ სტუდენტთა მიერ კმაყოფილების ხარისხის კვლევა კოლეჯში არსებული სასწავლო პროცესთან დაკავშირებით;
- პროფესიულ სტუდენტთა სერვისებით კმაყოფილების (ინფორმირებულობა და მომსახურება) შეფასება;
- პროფესიული სასწავლო პროგრამების და მოდულების თავსებადობა და მიღებული შედეგით კმაყოფილება;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენტურობა და ყურადრება სასწავლო პროცესებისადმი;
- პროფესიული სტუდენტების მიერ მატერიალური /სასწავლო რესურსებისა და ინფრასტრუქტურის კმაყოფილების შეფასება ;
- პროფესიულ სტუდენტთა შეხედულება კოლეჯში მათი უფლებების დაცვასთან დაკავშირებით.

4. კვლევის ანალიზი:

მიმდინარე 2026 მაის - ივნისში, კოლეჯში ჩატარდა პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა. Google Doc-ზე იყო განთავსებული წინასწარ შედგენილი კითხვარი, რომელიც თან ერთვის (დანართი 1), მონაწილეობა მიიღო ასცამეტმა სტუდენტმა

როგორც კვლევის შედეგებიდან ირკვევა გამოკითხულთა უმრავლესობა - 42% ზოგადი განათლებითაა, 30% მდე უმაღლესი ხოლო 26 % პროფესიული განათლებით, რომლებიც ეუფლებიან მეორად სპეციალობას.

- გამოკითხვით შედეგად გაირკვა, სტუდენტების უმრავლესობა - 45% თვლის, რომ კოლეჯი იძლევა საინტერესო პროფესიის დაუფლების შესაძლებლობას, სტუდენტთა 42 % სწავლობს ფარმაციის სპეციალობაზე, ხოლო სხვა სპეციალობები ინაწილებენ 11,6% – 12,5% – 13,4% – 15,2% თითქმის თანაბრად.
- კითხვა „რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი არჩევანით პროგრამით, რომელზეც სწავლობთ“, სტუდენტტა 46% არის კმაყოფილი, 32,4% ძალიან კმაყოფილი, დანარჩენი 11-11% მეტ - ნაკლებად კმაყოფილი ან უკმაყოფილო.
- სტუდენტთა - 91% მიიჩნევს, რომ შესაბამისი პროგრამით მიღებული ცოდნა გამოადგება მომავალ პროფესიულ საქმიანობაში, ხოლო 7,1% -ს მეტ-ნაკლებად.
- გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობა თვლის - სასწავლო პროცეში გამოყენებულია თანამედროვე პრაქტიკული მეთოდები (მოდულის დისტანციური, ელ.შეფასება,ონლაინ ლექციები, პრეზენტაციები, ლაბორატორიულ-პრაქტიკული მეთოდები და ა.შ)
- სტუდენტების 76% თვლის, რომ კოლეჯში მიღებულმა ცოდნამ დააკმაყოფილა მათი მოლოდინი, 21% - ს და უფრო ნაკლების ნაწილობრივ ან მეტ - ნაკლებად. ასევე სტუდენტების 84% კმაყოფილები არიან და თვლიან კოლეჯში მიღებული მათი ცოდნა დააკმაყოფილებს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს,ხოლო 15,3% - ს მეტ - ნაკლებად.
- გამოკითხულ სტუდენტთა - 90 % კმაყოფილია პროფესიული მასწავლებლების, და მიღებული ცოდნით 53% ძალიან კმაყოფილია, 37% კმაყოფილი და *% საშუალოდ კმაყოფილი.
- კვლევის კითხვა - „კოლეჯი გიწევთ დახმარებას სამსახურის მოძიებასა და დასაქმებაში“ – 75,5% პასუხობს დიახ 21% და უფრო ნაკლები მეტ - ნაკლებად ან არა
- სტუდენტების 74% სრულიად ეთანხმება, ხოლო 24,5% მეტ - ნაკლებად, რომ კოლეჯს აქვს სტუდენტთა შეფასების ობიექტური და გამჭვირვალე სისტემა,

- გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობა - 82% – 86% - ს პასუხი - „სრულიად ვეთანხმები“ - კმაყოფილია კოლეჯის ადმინისტრაციის მხარდაჭერისა და დახმარებისთვის, 13% - 17% მეტ-ნაკლებად,
- ბიბლიოთეკით და კოლეჯში უზრუნველყოფილი (არსებული) სხვადასხვა აქტივობებით კმაყოფილია გამოკითხულ სტუდენტთა 80 % - ს2%, მეტ-ნაკლებად 17%-19%.
- ლაბორატორიების ხარისხით და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ინვენტარით, კმაყოფილია სტუდენტთა 95% - 88%, ნაწილობრივ -11%,
- ვებ. გვერდზე განტავსებულ ინფორმაციის უტყუარობას მხარს უჭერს სტუდენტთა 76%, მეტ-ნაკლებად 22%. ხოლო გამოკითხულ სტუდენტთა - 93% - 98% სრულიად ეთანხმება კითხვას - „კოლეჯში, სანიტარულ კვანძები აღჭურვილია შესაბამისი რესურსით და დაცულია სისუფთავე“ და „ სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია პირველადი დახმარებისათვის საჭირო ინვენტარით და მედიკამენტებით“,
- კითხვას-„შეაფასეთ სასწავლებელში არსებული გარემო(აუდიტორიები, სისუფთავე, სველი წერტილები, კლიმატი სეზონის მიხედვით)“ ძალიან კარგი - აფასებს სტუდენტთა 60,4% და პასუხი - კარგი 39%,
- კვლევის კითხვა - **„რას შეცვლიდით კოლეჯში“** - პასუხები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ვფიქრობ რეალურადაა შეფასებული არსებული სიტუაცია. ეს სტიმულია უფრო საინტერესო გავხადოთ სტუდენტური ცხოვრება. სტუდენტები კმაყოფილები არიან, უყვართ კოლეჯი და მადლობას უხდიან დირექციას, მასწავლებლებს და ადმინისტრაციას - **„კოლეჯს უფრო მეტი პოპულარიზაცია უზომოდ კარგი ლექტორებით და დირექციით გამოიჩევა, მქონია სხვა კოლეჯებშიც შეხება მარა ასეთი კარგი განწყობით არსად დამხვედრიან“.**

  თუმცა აქვთ ძალიან გონივრული შენიშვნები და კეთილი რჩევები, რომელიც ნამდვილად გასათვალისწინებელია მეტ - ნაკლებად. მაგ.: **„სიმართლე რომ ვთქვა, კოლეჯური გარემო ძალიან მომწონს, უბრალოდ უფრო მეტი პრაქტიკული აქტივობა და სტუდენტებისთვის კომფორტული სივრცეები კარგიიქნებოდა“.**

5. დასკვნები და რეკომენდაციები

ჩატარებული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ პროფესიული სტუდენტების უმრავლესობა პოზიტიურად აფასებს კოლეჯში მიმდინარე სასწავლო და ადმინისტრაციულ პროცესებს. გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღნიშნავს, რომ კოლეჯში შექმნილია ორგანიზებული, მხარდაჭერაზე ორიენტირებული და სტუდენტზე მორგებული გარემო. ლექტორების პროფესიონალიზმითა და ადმინისტრაციის ჩართულობით.

კვლევის პასუხების ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ სტუდენტების დიდი ნაწილი არსებული გარემოთი კმაყოფილია, რაც მიუთითებს ინსტიტუციისადმი მაღალი ნდობისა და დადებითი გამოცდილების არსებობაზე.

ამასთან, გამოიკვეთა რამდენიმე მიმართულება, რომელთა განვითარებაც ხელს შეუწყობს ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას:

- სასწავლო პროცესში დასწრების კონტროლის გაძლიერების საჭიროება;
- ცალკეული მოდულების შინაარსისა და სწავლების მეთოდების გადახედვა მათი პრაქტიკულ საჭიროებებთან უკეთ შესაბამისობის მიზნით;
- დამატებითი ტრენინგების, პრაქტიკული აქტივობებისა და სპეციალიზებული პროგრამების დანერგვის მოთხოვნა;
- პრაქტიკული კომპონენტის გაფართოების საჭიროება კონკრეტულ მიმართულებებში;
- კოლეჯის ცნობადობისა და კომუნიკაციის გაძლიერების საჭიროება სოციალურ ქსელებსა და მედიაში;
- ინფრასტრუქტურის ცალკეული ელემენტების გაუმჯობესების საჭიროება.

რეკომენდაციები

- ✓ **სასწავლო პროცესის ხარისხის გაძლიერება** – განხორციელდეს ცალკეული მოდულების შინაარსისა და სწავლების მეთოდების პერიოდული შეფასება სტუდენტთა უკუკავშირის გათვალისწინებით.
- ✓ **დასწრებისა და ჩართულობის მონიტორინგი** – გადაიხედოს დასწრების კონტროლის არსებული მექანიზმები ;
- ✓ **პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების განვითარება** – გაიზარდოს პრაქტიკული კომპონენტის წილი სასწავლო პროგრამებში;

- ✓ **დამატებითი საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება** – დაიგეგმოს ტრენინგები, მასტერკლასები და პროფესიული განვითარების დამატებითი ღონისძიებები სტუდენტების ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად.
- ✓ **კომუნიკაციისა და პოპულარიზაციის გაძლიერება** – გააქტიურდეს კოლეჯის წარმომადგენლობა სოციალურ ქსელებსა და საინფორმაციო პლატფორმებზე სტუდენტური წარმატებებისა და საგანმანათლებლო შესაძლებლობების წარმოსაჩენად.
- ✓ **ინფრასტრუქტურული გარემოს გაუმჯობესება** – სტუდენტთა მიერ გამოთქმული კონკრეტული საჭიროებების შესაბამისად ეტაპობრივად დაიგეგმოს გარემოსა და მატერიალური რესურსების განვითარება.

6. დანართი (კითხვარი) N 1.

1. რომელ წინმსწრებ განათლებას ფლობდით პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარების მომენტისთვის?

ა. უმაღლესი განათლება;

ბ. პროფესიული განათლება;

გ. ზოგადი განათლება;

დ. საბაზო განათლება.

2. რატომ აირჩიეთ კოლეჯი „ორიენტირი“

ა. იძლევა საინტერესო პროფესიის დაუფლების შესაძლებლობას;

ბ. მშობლების/ახლობლების /მეგობრის რჩევით;

გ. პროფესიული პროგრამის/კოლეჯის პრესტიჟულობა;

დ. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საცხოვრებელ სახლთან სიახლოვე.

3. რომელ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობთ

ა. საექთნო განათლება;

ბ. ფარმაცია (სააფთიაქო);

გ. კბილის სატექნიკო საქმე;

დ. საფინანსო სერვისები;

ე. აღმზრდელი;
ვ. მასაჟის თერაპია.

4. სწავლის დაწყებისთანავე გაგაცნეს თუ არა მოდულური პროგრამის შინაარსი?

ა. დიახ;

ბ. არა.

5. შეაფასეთ რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი არჩევანით პროგრამით, რომელზეც სწავლობთ?

ა. ძალზედ უკმაყოფილო;

ბ. უკმაყოფილო;

გ. მეტ-ნაკლებად კმაყოფილი;

დ. კმაყოფილი;

ე.ძალზედ კმაყოფილი.

6. სასწავლო პროცესში აქტიურად ხდება თანამედროვე ტექნოლოგიების და ეფექტური სწავლების პრაქტიკული მეთოდების გამოყენება?

ა. დიახ;

ბ. არა;

გ. ნაწილობრივ.

7. თვლით, რომ მოდულის/პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები გამოგადგებათ მომავალ პროფესიულ საქმიანობაში

ა. დიახ;

ბ. არა;

გ. მეტ-ნაკლებად.

8. მოდულზე გათვალისწიმებული საათები საკმარისია თეორიული და პრაქტიკული უნარ - ჩვევების დასაუფლებლად

ა. სრულიად ვეთანხმები;

ბ. მეტ-ნაკლებად ვეთანხმები;

გ. არ ვეთანხმები.

9. შეესაბამება კოლეჯში მიღებული ცოდნა თქვენს მოლოდინებს?

ა. დიახ;

ბ. მეტ-ნაკლებად;

გ. ნაწილობრივ.

10. როგორ თვლით, კოლეჯში მიღებული ცოდნა შეესაბამება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს?

ა. დიახ;

ბ. არა;

გ. მეტ-ნაკლებად.

11. შეაფასეთ სასწავლო პროცესებიდან მიღებუ ცოდნა:

ა. ძალიან კარგი;

ბ. კარგი;

გ. საშუალო;

ე. დამაკმაყოფილებელი.

12. სწავლის პროცესში, მასწავლებლებისგან ვიღებ სათანადო კონსულტაციას და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

ა. დიახ;

ბ. მეტ-ნაკლებად;

გ. არა.

13. კოლეჯს აქვს სტუდენტთა შეფასების ობიექტური და გამჭვირვალე სისტემა - წინასწარ გავეცანი, თუ როგორ მოხდებოდა ჩემი მიღწევების შეფასება მოდულის/პროგრამის ფარგლებში

ა. სრულიად ვეთანხმები;

ბ. მეტ-ნაკლებად ვეთანხმები;

გ. არ ვეთანხმებ.

14. კოლეჯი გიწევთ დახმარებას სამსახურის მოძიებასა და დასაქმებაში?

ა. დიახ;

ბ. მეტ-ნაკლებად;

გ. არა.

15. კოლეჯში სწავლის დაწყებისთანავე, ადმინისტრაცია დამეხმარა სასაწავლო გარემოსთან ადაპტაციაში

ა. სრულიად ვეთანხმები;

ბ. მეტ-ნაკლებად ვეთანხმები;

გ. არ ვეთანხმებ.

16. სასწავლო პროცესში წარმოქმნილ პრობლემებთან დაკავშირებით კოლეჯის ადმინისტრაცია გონივრულ ვადაში მიწევს მხარდაჭერას

ა. სრულიად ვეთანხმები;

ბ. მეტ-ნაკლებად ვეთანხმები;

გ. არ ვეთანხმებ.

17. კოლეჯის დირექცია უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის აქტივობების (სპორტი, გასართობი,შემეცნებითი) წახალისებას და სტუდენტების ინიცი ატივების მხარდაჭერას

ა. სრულიად ვეთანხმები;

ბ. მეტ-ნაკლებად ვეთანხმები;

გ. არ ვეთანხმები.

18. კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული სახელმძღვანელოები/სასწავლო ლიტერატურა/ ინტერნეტ რესურსი აკმაყოფილებს სასწავლო საჭიროებას?

ა. სრულიად ვეთანხმები;

ბ. მეტ-ნაკლებად ვეთანხმები;

გ. არ ვეთანხმებ.

19. ლაბორატორიების ხარისხი (მოწყობა, ინვენტარი და ა.შ.) სრულიად მისაღებია?

ა. დიახ;

ბ. არა;

გ. ნაწილობრივ.

20. კოლეჯის ხელმძღვანელობა ზრუნავს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ინვენტარით, მატერიალური და ტექნიკური რესურსების უზრუნველყოფისთვის

ა. სრულიად ვეთანხმები;

ბ. ნაწილობრივ ვეთანხმები;

გ. არ ვეთანხმები.

21. ვეცნობი ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციას, იგი უტყუარია და არ არის შეცდომაში შემყვანი

ა. სრულიად ვეთანხმები;

ბ. მეტ- ნაკლებად;

გ. არ ვეთანხმები.

22. კოლეჯში, სანიტარულ კვანძები აღჭურვილია შესაბამისი რესურსით და დაცულია სისუფთავე

ა. სრულიად ვეთანხმე

ბ. არ ვეთანხმები;

დ. ნაწილობრივ ვეთანხმები.

23. სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია პირველადი დახმარებისათვის ყველა საჭირო რესურსით და მედიკამენტით

ა. სრულიად ვეთანხმები;

გ. არ ვეთანხმები.

24. შეაფასეთ სასწავლებელში არსებული გარემო(აუდიტორიები, სისუფთავე, სველი წერტილები, კლიმატი სეზონის მიხედვით)

ა. ძალიან კარგი;

ბ კარგი;

გ. საშუალო;

დ. ცუდი.

25. რას შეცვლიდით კოლეჯში?

---

7. დანართი N 2 (პასუხები)

რომელ წინმსწრებ განათლებას ფლობდით პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარების მომენტისთვის? 112 პასუხი

დიაგრამის კოპირება



- უმაღლესი განათლება;
- პროფესიული განათლება;
- ზოგადი განათლება
- საბაზო განათლება.

რატომ აირჩიეთ კოლეჯი „ორიენტირი" 112 პასუხი

დიაგრამის კოპირება



- იძლევა საინტერესო პროფესიის დაუფლების შესაძლებლობას;
- მშობლების/ახლობლების /მეგობრის რჩევით
- პროფესიული პროგრამის/კოლეჯის პრესტიჟულობა
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საცხოვრებელ
- სახლთან სიახლოვ

რომელ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობთ 112 პასუხი

დიაგრამის კოპირება



- საექთნო განათლება
- ფარმაცია (სააფთიაქო)
- კბილის სატექნიკო საქმე
- საფინანსო სერვისები
- აღმზრდელი
- მასაჟის თერაპია.

Სწავლის დაწყებისთანავე გაგაცნეს თუ არა მოდულური პროგრამის შინაარსი?107 პასუხი

დიაგრამის კოპირება

თვლით, რომ მოდულის/პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები გამოგადგებათ მომავალ პროფესიულ საქმიანობაში112 პასუხი

დიაგრამის კოპირება



მოდულზე გათვალისწიმებული საათები საკმარისია თეორიული და პრაქტიკული უნარ - ჩვევების დასაუფლებლად112 პასუხი

დიაგრამის კოპირება





როგორ თვლით, კოლეჯში მიღებული ცოდნა შეესაბამება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს?

111 პასუხი

დიაგრამის კოპირება



შეესაბამება კოლეჯში მიღებული ცოდნა თქვენს მოლოდინებს?

112 პასუხი

დიაგრამის კოპირება



შეაფასეთ სასწავლო პროცესებიდან მიღებული ცოდნა112 პასუხი

დიაგრამის კოპირება



სწავლის პროცესში, მასწავლებლებისგან ვიღებ სათანადო კონსულტაციას და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.111 პასუხი

დიაგრამის კოპირება



კოლეჯი გიწევთ დახმარებას სამსახურის მოძიებასა და დასაქმებაში?110 პასუხი

დიაგრამის კოპირება



კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული სახელმძღვანელოები/სასწავლო ლიტერატურა/ ინტერნეტ რესურსი აკმაყოფილებს სასწავლო საჭიროებას? 110 პასუხი



ლაბორატორიების ხარისხი (მოწყობა, ინვენტარი და ა.შ.) სრულიად მისაღებია?110 პასუხი



მხარდაჭერას110 პასუხი



კოლეჯის დირექცია უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის აქტივობების (სპორტი, გასართობი,შემეცნებითი) წახალისებ ტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას110 პასუხი



კოლეჯში, სანიტარულ კვანძები აღჭურვილია შესაბამისი რესურსით და დაცულია სისუფთავე

110 პასუხი

დიაგრამის კოპირება



სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია პირველადი დახმარებისათვის ყველა საჭირო რესურსით და მედიკამენტით109 პასუხი

დიაგრამის კოპირება



ვ
ბ

11

დიაგრამის კოპირება



ვეცნობი ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციას, იგი უტყუარია და არ არის შეცდომაში შემყვანი

109 პასუხი

დიაგრამის კოპირება



რას შეცვლიდით კოლეჯში?

47 პასუხი

არაფერს

შეაფასეთ სასწავლებელში არსებული გარემო(აუდიტორიები, სისუფთავე, სველი წერტილები, კლიმატი სეზონის მიხედვით)

111 პასუხი

დიაგრამის კოპირება



გამკაცრდეს დასწრებაზე კონტროლი
გავამკაცრებდი მოდულების შეფასების მოთხოვნებს.
ყველაფერი საკმაოდ კარგადაა დალაგებული და მოწესრიგებული, მადლობა კოლექტივს ყველაფრისათვის❤️
მომწონს ყველაფერი მადლობა
კარგი იქნებოდა სტუდენტებისთვის დამატებითი ტრენინგების ჩატარება

ჩემთვის ყველაფეტი დამაკმაყოფეზელია
უფრო აქტიურს გავხდიდი სოც ქსელში და მედიაში რომ არ გადაფაროს სხვა კოლეჯებმა, რადგან ეკუთვნის ნამდვილად ამ კოლეჯს უფრო მეტი პოპულარიზაცია უზომოდ კარგი ლექტორებით და დირექციით გამოიჩევა . მქონია სხვა კოლეჯებშიც შეხება მარა ასეთი კარგი განწყობით არსად დამხვედრიან .

ძალიან კმაყოფილი ვარ. მადლობა
დავამატებდი აქტივობებებს
ამოვიღებდი ონლაინ სწავლებას პრაქტიკიდან
მადლობის მეტი არაფერი მეთქმის❣️
არფერს.საუკეთესოები არიან.ყველაფერი შესანიშნავია.

არაფერს. ძიხდა უფრო გაძლიერდეს
სტუდენტზე და განათლებაზე ორიენტირებული კოლეჯია, შენიშვნა არ მაქვს, წარმატებები მინდა ვუსურვო-საგანმანათლებლო ბაზარზე.
სველ წერტილში გათბობა და ხელსახოცები. ძალიან გამეხარდება თუ დაემატება პრაქტიკულ ნაწილს პლასტიკური ქირურგიის განყოფულებაში პრაქტიკების გავლა
არაფერს არ შევცვლიდი

კიდევ დავამატებდი პრაქტიკულ აქტივობებს
უკეთესი თუ იქნება გამეხარდება.
გავზრდიდი პრაქტიკულ აქტივობებს
სიმართლე რომ ვთქვა, კოლეჯური გარემო ძალიან მომწონს, უბრალოდ უფრო მეტი პრაქტიკული აქტივობა და სტუდენტებისთვის კომფორტული სივრცეები კარგი იქნებოდა 😊
კოლეჯი მართლაც, რომ იდეალურია. ყველა ლექტორის მიდგომა სტუდენტების მიმართ დასაფასებელია . ერთადერთი რასაც დავამატებ არის სამსახურეობრივი შეთავაზება, ძალიან კარგი იქნება თუ გამოცდილების მიღებაში დაგვეხმარება
კოლეჯი მადლობა ❤️
ყველაფერი მომწონს